ბრიტანიკა Britannica
ქართულ-ინგლისური სკოლა
Georgian-English School

დამტკიცებულია შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ დირექტორის მიერ
ბრძანება № 06 04.09.2023

სკოლის დირექტორი /თამარ მაისურაძე/

Tamar Maisuradze 01023003009
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2026.02.07 14:06:03

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

სტრატეგიული დაგეგმვა
სტრატეგიული გეგმა
(2023-2030)

-2023-

შინაარსი

შესავალი 3
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 5
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 6
სტრატეგიული მიზნები 7

შესავალი

წინამდებრე დოკუმენტი წარმოადგენს შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ სტრატეგიული განვითარების გეგმას. მასში ასახულია

- სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები,
- სამოქმედო კურსი,
- მიზნების მიღწევის გზები,
- შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები,
- დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.

სკოლის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს, რომელსაც დაწესებულება საქმიანობის ძირითად ფუნდამენტად მიიჩნევს. სკოლას მიაჩნია, რომ დაწესებულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელია - სკოლის სტარტეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. სკოლის წარმატება და განვითარება მნიშვნელოვანწილად მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობას ეფუძნება. მათ მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი პასუხისმგებლობა, ძალისხმევა და ენთუზიაზმი ესაჭიროებათ იმისთვის, რომ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს. მუდმივი სწრაფვა განვითარებისაკენ, ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე, მუდმივად განვითარებადი ტექნოლოგიებისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება, საკუთარი გამოცდილებისა და უნარების მობილიზება წარმოადგენს იმ საკვანძო საკითხებს, რომელიც სკოლას სჭირდება წარმატების მისაღწევად. სკოლა დარწმუნებულია, რომ მისი სტარატეგიული განავითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა მოხდება პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობას მიიღებს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება სიტუაციურ მიმოხილვას და SWOT ანალიზის შედეგებს. სკოლა მუდმივად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას, კმაყოფილების კვლევას და სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ავითარებს სასკოლო გარემოს და სერვისებს.

2023-2030 წლების სკოლის სტრატეგიის დაგეგმვის მიზნით, გაანალიზდა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და განხორციელების რისკები, რაც შედეგების სახით წარმოდგენილია ცხრილში.

SWOT ანალიზი

სკოლის საჭიროების კვლევა

კვლევის მიზანია:

1. დანერგილი სასკოლო კურიკულუმის/ სასწავლო გეგმის შეფასება, წინასწარ შემუშავებული შეფასების მექანიზმების გათვალისწინებით.
2. კვლევაში მონაწილეთა დახმარებით, სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების აღმოჩენა, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მისწრაფებების გაგება.
3. სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტურობის გამოვლენა;
4. კვლევის შედეგებით პრობლემების იდენტიფიცირება და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

საკვლევი კითხვები: (საფუძველი: კითხვარი მშობლებისათვის)

1. სთავაზობს თუ არა სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მათთვის სასურველ მომსახურებას?
2. პასუხობს თუ არა სწავლის ხარისხი თქვენს მიზნებსა და საჭიროებებს?
3. რამდენად საინტერესო დავალებებს სთავაზობენ პედაგოგები მოსწავლეებს?
4. დროულად არიან თუ არა ინფორმირებული მშობლები მათი შვილის აკადემიური მოსწრების თაობაზე?
5. როგორ, რის შესახებ, რა პერიოდულობით ხდება სკოლის მხრიდან ინფორმაციის მოწოდება?
6. არსებობს თუ არა მშობლების მხრიდან მოთხოვნილება დამატებით მომსახურებაზე?
7. რა მოგწონთ/არ მოგწონთ კლასის დამრიგებლის მუშაობაში?
8. იცნობთ თუ არა სკოლის მართვისა და მოსწავლეთა ქცევის წესებს?
9. ხართ თუ არა ჩართული სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში?

კვლევის საკითხები (საფუძველი: კითხვარი მასწავლებლებისთვის)

1. რა ინიციატივებს შემოგვთავაზებდით სასკოლო ცხოვრების გასაუმჯობესებლად ?
2. რა გზებით იგებთ ცვლილებებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში? საგნობრივ სტანდარტებში?
3. რა პრობლემებს აწყდებით სასწავლო პროცესში თქვენს გაკვეთილებზე? დაასახელეთ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი.
4. როგორ ახერხებთ შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას? რომელ კლასებში უფრო ახერხებთ მოსწავლეების ჩართვას შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში?
5. სახელმძღვანელოს გარდა, რა დამატებით რესურსებს იყენებთ სასწავლო პროცესში?
6. რა სახის შემაჯამებელ დავალებებს ატარებთ? რამდენად კონკრეტულია მათი შეფასების კრიტერიუმები ?
7. გრძნობთ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ხელშეწყობას პროფესიული განვითარების კუთხით? რა დახმარებას ისურვებდით?

მოსწავლეების კითხვარი მომზადდა 3 სახის:

1. მოსწავლეთა გამოკითხვა სასწავლო პროცესისა და საგნის მაწავლებლების პროფესიონალზმის შეფასების მიზნით;
2. მოსწავლეთა გამოკითხვა სკოლის უსაფრთხოებისა და სწავლების ხარისხის კმაყოფილების შეფასების მიზნით;
3. მოსწავლის გამოკითხვა სწავლა -სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გამო სკოლის დირექციის წარმომადგენლების გაკვეთილზე დასწრების შეფასების მიზნით. გამოკითხვები ჩატარდა სხვადასხვა კლასებში-საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

- **მოსწავლეთა გამოკითხვა სასწავლო პროცესისა და საგნის მაწავლებლების პროფესიონალზმის შეფასების მიზნით ჩატარდა შემდეგ საკითხებზე:**

1.მასწავლებელი საინტერესოდ წარმართავს საგაკვეთილოს პროცესს;

2. მასწავლებელი ობიექტურად აფასებს მოსწავლეებს;
3. მასწავლებელი ორგანიზებულია
4. მასწავლებელი ქმნის დადებით ემოციურ ატმოსფეროს;
5. მასწავლებელის ავლენს საგნის კვალიფიციურ ცოდნას;
6.მასწავლებელი ნათლად და თანმიმდევრულად გვიხსნის სასწავლო მასალას;
7. მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა წახალისებას სწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით;
8.მასწავლებელი სისტემატიურად ამოწმებს შესრულებულ დავალებებს;
9.მასწავლებელს შეუძლია დროის ეფექტურად მართვა;
10.მასწავლებელი იჩენს ინდივიდუალურ ყურადღებას მოსწავლეებისადმი.
11. რას შეცვლიდით სასკოლო ცხოვრებაში?

- **კმაყოფილების კვლევა ჩატარდა შემდეგ საკითხებზე: (საფუძველი ; კითხვარი მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის)**
  1. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ კარგი სკოლაა?
  2. თქვენი შვილისთვის სკოლაში სიარული სასიამოვნოა (თუ არა, რატომ)?
  3. სკოლა უსაფრთხო ადგილია თქვენი შვილისთვის (თუ არა, რატომ)?,
  4. როგორ თვლით, თქვენი შვილი სკოლაში კარგ განათლებას იღებს?
  5. სკოლის აკადემიური პერსონალი კომპეტენტური და კვალიფიციურია?
  6. .სკოლის აკადემიური პროგრამა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისია?
  7. თვლით რომ, სკოლა სწრაფად რეაგირებს პრობლემის არსებობის შემთხვევაში?
  8. სკოლის თანამშრომლები კეთილგანწყობილები არიან?
  9. სკოლა ითვალისწინებს თქვენი შვილის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს თქვენს შვილს აკადემიური წარმატების მიღწევაში?
  10. შეაფასეთ შესაბამისი საგნის მასწავლებელი და პროგრამა.

კითხვების ანალიზის საშუალება გვაძლევს ვიმსჯელოთ რატომ სჭირდება კონკრეტულ საჭიროებას/პრობლემას დროული რეაგირება და რა შემდეგები შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული საჭიროების/პრობლემის გაუთვალისწინებლობას უახლოეს მომავალში?

სამიზნე ჯგუფი: შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“-ს მოსწავლეები(საბაზო და საშუალო საფეხურზე), მშობლები (მშობელთა სათათბიროს წევრები და ყველა კითხვარში მონაწილეობის მსურველი მშობელი), მასწავლებლები.

კვლევის მეთოდები: წინასწარ შემუშავებული კითხვარები

სამუშაოს აღწერა

კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა კითხვარები სამი მიმართულებით: მშობლები, მასწავლებელები და მოსწავლეები. კითხვარები შემუშავდა სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის და ფსიქოლოგისა ჩართულობით.

კვლევის მეორე ეტაპი- გამოკითხვა. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას ორგანიზებას უწევდნენ კლასის დამრიგებლები. უზრუნველყოფდნენ კითხვარების გავრცელებას, შეგროვებასა და ირექტორის მოადგილისთვის წარდგენას. მასწავლებლების გამოკითხვა განხორციელდა კათედრებზე, კათედრის ხელმძღვანელის ოეგანიზებით.

მესამე ეტაპი-გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი:

მშობლები:

(გამოკითხვაში ჩართული იყო მშობელთა სათათბიროს წევრები და ყველა ის მშობელი, რომელმაც გამოთქვა სურვილი გამოკითხვაში მიეღო მონაწილეობა. სულ 25 მშობელი.)

1. მშობლები თვლიან, რომ სკოლა სთავაზობს მათთვის სასურველ მომსახურებას და სწავლის მაღალი ხარისხი სრულად ემსახურება მათ მიზნებს და საჭიროებებს.
2. მშობლები თვლიან, რომ კმაყოფილი არიან ელექტრონული ჟურნალის Schoolbook-ის მომსახურებით. ისინი აღნიშნავენ, რომ საჭირო ინფორმაციას სკოლიდან ყოველთვის დროულად იღებენ, როგორც სკოლის ელექტრონული ჟურნალიდან, ასევე სკოლის დირექციისა და მასწავლებლებისგან. თუმცა რამდენიმე მშობელი ითხოვს უფრო ხშირად ჩაერთონ მასწავლებლები შენიშვნების ან დამატებითი ინფორმაციის გადაგზავნის პროცესში. ერთი მშობელი ითხოვდა დავალებების დროულად ატვირთვას.
3. მშობლები თვლიან რომ, პედაგოგები საინტერესო დავალებებს სთავაზობენ მოსწავლეებს. ორი მშობლის აზრით, დავალებები საინტერესო იყო, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ დავალებების შემოწმებას უფრო მეტი დრო დაეთმობა მასწავლებლების მხრიდან, განსაკუთრებით მათემატიკაში.

4. დაწყებითი საფეხურის მშობლები თვლიან, რომ ცნობილია სკოლის შეფასების სისტემა. კერძოდ, განმავითარებელი შეფასებით. თუმცა რამდენიმე მშობელი აღნიშნავს, რომ საგნის მასწავლებლებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ინდივიდუალური შეფასებისას, რადგან ხშირად შეფასება ზოგადია ან ტრაფარეტული. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ფასდებიან ყოველდღიურად შესრულებული დავალების მიხედვით და შეუძლია მათ შვილს აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.
5. ძირითადად მშობლები ყველა დამრიგებლის მუშაობას დადებითად აფსებენ. თუმცა ერთი კლასის მშობელთა წარმომადგენელმა შემოიტანა განცხადება არსებული დამრიგებლის შეცვლის თაობაზე, მოითხოვეს უფრო გამოცდილი პედაგოგის შესვლა დამრიგებლის ფუნქციით.
6. საინტერესოა მშობლების ინიციატივები სასკოლო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის დროს: ღია სივრცეში გაკვეთილების ჩატარება. მათ გამოთქვეს სურვილი სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.
7. მშობლების საერთო მოთხოვნა იყო სკოლის ბუფეტის ფუნქციონირების აღდგენა და გახანგრძლივებული ჯგუფის გახსნა მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვისაც.

რაც შეეხება მშობელთა კმაყოფილების კვლევას:

1. თვლიან რომ, შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ სწორედ ის სკოლაა, სადაც პირველი კლასიდან შეაჩერს არჩევანი.
2. ბავშვებს უხარიათ სკოლაში სიარული და სკოლა მათთვის სრულიად უსაფრთხო და დაცული გარემოა.

3. სკოლის აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციური და კომპეტენტურია, მათი შვილები კარგ განათლებას იებენ.
4. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს მათ აკადემიური წარმატების მიღწევაში.
5. საგნის პედაგოგებს დადებითად აფასებენ, თუმცა ერთი კლასის მშობლებმა მოგვმართა განცხადებით და მოითხოვეს ორი მასწავლებლის შეცვლა მომავალი წლისთვის.

მშობლები აფასებენ სკოლის სერვისებს:

დამატებითი მომსახურეობა - განსაკუთრებით მოსწონთ ფსიქოლოგის საათი და რელიგიების ისტორიის გაკვეთილები დაწყებით საფეხურზე. რამდენიმე მშობელმა გამოთქვა სურვილი ფსიქოლოგის აქტიურ ჩართულობაზე უფროს კლასებშიც. თუმცა აქვე აღნიშნეს, რომ ნებისმერი კლასის მშობელი ყოველთვის პროფესიულ რჩევას და დახმარებას იღებს სკოლის ფსიქოლოგისგან, როცა კი მისთვის მიუმართავთ დახმარებისთვის.

განსაკუთრებით მოსწონთ და კმაყოფილებას გამოთქვამენ გახანგრძლივებული სწავლების მიმართ, მოსწონთ ხელოვნების და ცეკვის გაკვეთილები.

კმაყოფილი არიან სკოლის დისციპლინით და სასკოლო ფორმებით, თუმცა რამდენიმე მშობელმა ისურვა გაუმჯობესდეს ფორმის ქსოვილის ხარისხი.

ამრიგად, მშობელთა გამოკითხვამ გვაჩვენა რომ, სკოლას ჰყავს კვალიფიციური და მოტივირებული პედაგოგები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, თუმცა აღნიშნავენ რომ, უკეთესი იქნება თუ უფრო აქტიურად იმუშავებენ გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლები და მეტად გააკონტროლებენ მობილური ტელეფონების გამოყენებას გაკვეთილებზე, განსაკუთრებით უფროს კლასებში. ისინი კმაყოფილი არიან სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი სერვისებით. აუცილებლად გასათვალისწინებელია მშობელთა ინიციატივები და რეკომენდაციები სკოლის ეზოს უკეთ მოსაწყობად.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

გამოკითხვის მიზანია მოსწავლეთა დამოკიდებულების კვლევა სასწავლო პროცესისა და უსაფრთხო გარემოს მიმართ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საბაზო და საშუალო საფეხურის 45 მოსწავლემ.

*მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ, მასწავლებლების უმრავლესობა ავლენს საგნის მაღალ კვალიფიციურ ცოდნას და საინტერესოდ წარმართავს საგაკვეთილო პროცესს. თუმცა, რამდენიმე მოსწავლე თვლის, რომ ისტორიისა(საბაზო საფეხურზე) და მათემატიკის(დაწყებით საფეხურზე) მასწავლებლები ნაკლებ ემპათიურები არიან. ისინი თვლიან, რომ თუ აღნიშნული მასწავლებლები შეცვლიან ინდივიდუალურ მიდგომებს და გაზრდიან მოსწავლეების მოტივაციას, შესაბამისად გაიზრდება ინტერესი საგნებისადმი და შედეგიც დამაკმაყოფილებელი იქნება მათთვის.

*მოსწავლეები, ძირითადად, თვლიან რომ მასწავლებლები ქმნიან დადებით ემოციურ ატმოსფეროს, რაც მათ საშუალებას აძლევს თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი და გამოავლინონ ცოდნა. თუმცა ორი მოსწავლე თვლის, რომ დადებითი გარემოს შექმნა თვითონ მოსწავლეებზეც არის დამოკიდებული, რათა მასწავლებელმაც თავისუფლად შეძლოს სწავლების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება.

* მოსწავლეები თვლიან, რომ უმჯობესი იქნება, თუ გაკვეთილის ახსნისას მასწავლებლები მეტ თვალსაჩინოებას ან ტექნიკურ საშუალებებს გამოიყენებს საგნის უკეთ გაგებისა და შესწავლის მიზნით.

*შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობის მხრივ, მოსწავლეები ნაკლებ არიან ჩართულები. ძირითადად, მასწავლებლებს გამზადებული სქემები მოაქვთ გაკვეთილებზე.

*ტექნიკურ საგნებში, რამდენიმე მოსწავლე თვლის, რომ მასალას მასწავლებელი სწრაფად გადის, რაც მოსწავლეებში იწვევს დაბნეულობას, ეს კი მათ ხელს უშლის საგნის უკეთ ათვისებასა და შემგომში, მაღალ შედეგებზე გასვლაში.

*მოსწავლეებს სურთ შემაჯამებელი დავალებები უფრო მრავალფეროვანი იყოს. ძირითადად შემაჯამებელი დავალებები წერითია, მოსწავლეების უმრავლესობას სურს შემაჯამებელი დავალება პრეზენტაციის ფორმითაც ჩატარდეს.

*კითხვაზე, სისტემატიურად ასწორებს თუ არა მასწავლებელი დავალებებს, პასუხი ძირითადად დადებითი იყო. თუმცა რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვა სურვილი დავალებები უფრო გულდასმით გასწორდეს, უკეთესი იქნება განმავითარებელი შეფასების ფორმით, რათა მათ უკეთესად შეძლონ შეცდომების გააზრება.

*მოსწავლეები მასწავლებლებში აფასებენ: მოსმენის უნარს, პოზიტიურ დამოკიდებულებას, საგნობრივ კომპეტენციას და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილ დამიკიდებულებას.

*მოსწავლეების უმრავლესობა თვლის, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს მეტი გასვლითი გაკვეთილები ექსკურსიების და კვლევითი ექსპედიციების სახით.

*კითხვაზე, რას შეცვლიდი სასკოლო ცხოვრებაში?- 28 მოსწავლე თვლის რომ სკოლაში სწაავლების ხარისხის მიხედვით, ძირითადად არაფერს შეცვლიდა, რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვა სურვილი მიეცეთ უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება; რამდენიმე მოსწავლემ ისურვა დროდადრო გარე სივრცეში (მაგ. მიმდებარე სკვერში) შეძლებისდაგვარად, საგაკვეთილო პროცესის გადატანა. რამდენიმე მოსწავლემ კმაყოფილება გამოთქვა სახელოვნებო ღონისძიებებზე აქტიურად დასწრების გამო და ისურვა სკოლაშიც ხშირად ჩატარდეს სასკოლო ღონისძიებები, განსაკუთრებით საბაზო საფეხურზე.

მოსწავლეები აღნიშნავენ რომ, კითხვარის შევსებისას გულწრფელები იყვნენ.

რაც შეეხება, სკოლის უსაფრთხო გარემოს, ყველა მოსწავლე ერთხმად აღნიშნავს, რომ სკოლაში სრულიად უსაფრთხოა მათი ცხოვრება, შედეგად მოსწავლეებს შორის ყველა საფეხურზე მეგობრული და ურთერთპატივისცემით აღსავსე გარემოა, რაც მათ სასკოლო ცხოვრებას მშვიდსა და სასიამოვნოს ხდის.

რაც შეეხება, სკოლის **დირექციის წარმომადგენლების გაკვეთილებზე დასწრების ფორმატს,** მოსწავლეებს ჰქონდათ ძალიან საინტერესო და საქმიანი პასუხები.

მოსწავლეების უმრავლესობა დადებითად აფასებს გაკვეთილის გარე შეფასების ფორმას. ისინი თვლიან, რომ

*რამდენიმე საგანში მასწავლებლები უფრო მობილიზებული და მოტივირებული გახდნენ;

*დამსწრის გაკვეთილზე ყოფნისას, ორ მასწავლებელი უკეთესად უზრუნველყოფდა მოსწავლეთა ქცევის კონტროლს, რაც მათ დაეხმარა უფრო ორგანიზებულად და ეფექტურად ჩაეტარებინა გაკვეთილი;

*გაკვეთილზე ზოგიერთმა მასწავლებელმა უფრო მეტი სახალისო აქტივობები გამოიყენა და უფრო აქტიურად ჩართო გაკვეთილის ახსნისას თვალსაჩინო მასალები; შედეგად მოსწავლეებმა უკეთ გაიგეს გაკვეთილი და მოგვიანებით ბევრად ხალისით შეასრულეს საშინაო დავალება;

*მასწავლებელმა უფრო მეტი ჯგუფური სამუშაოები შემოიტანა გაკვეთილზე, რამაც სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახადა;

*ზოგიერთი მასწავლებელი ზედმეტად ნერვიულობდა, რაც მოსწავლეებისთვის შესამჩნევი გახდა. შედეგად, ეს განცდა მოსწავლეებზეც აისახა.

*ზოგიერთ საგანში მასწავლებელმა მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან იმუშავა, რის შედეგადაც ზოგიერთი მოსწავლე მხოლოდ გაკვეთილზე პასიურ დამსწრედ დარჩა.

მოსწავლეთა გამოკითხვიდან გამომდინარე,

- მასწავლებლებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობას, მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბებასა და საინტერესო აქტივობებით დატვირთული გაკვეთილების ჩატარებას.
- მასწავლებლებმა უფრო აქტიურად უნდა ჩართონ ჯგუფური სამუშაოები და მრავალფეროვანი აქტივობები საგაკვეთილო პროცესში.
- მასწავლებლებმა შეძლონ უფრო ორგანიზებულად მართონ როგორც სასწავლო პროცესი და მოსწავლეთა ქცევა, ასევე გაკვეთილის წარმართვის დრო;
- ყველა მასწავლებელმა მეტი ყურადღება გამოიჩინოს თითოეული მოსწავლის მიმართ და იზრუნოს მეტად პოზიტიური გახადოს როგორ ურთიერთობები მოსწავლეებთან , ასევე საგაკვეთილო პროცესიც.
- ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი სურვილი, შეძლებისამებრ, საგნის კომპეტენციიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესის ღია ცის ქვეშ გადატანა. ეს განსაკუთრებით სპორტისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილებს ეხება.

მასწავლებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი:

კვლევის მიზანია მასწავლებლები დაეხმარონ სკოლას ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების განსაზღვრაში. სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასებაში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სკოლის 16 მასწავლებელმა.

*მასწავლებლები აღნიშნავენ რომ, ცვლილებებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში სკოლის ადმინისტრაციისგან და **ინტერნეტის საშუალებით /ncp.ge/ /mes.gov.ge/**იგებენ.

*მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ გამოავლინონ საგნის მაღალი კვალიფიციური ცოდნა და ყველა მოსწავლემდე მიიტანონ შეფასების ის სისტემა და კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

*შემაჯამებელი დავალებების შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, ისინის მუშაობის დაწყებამდე ეცნობიან შესაფასებელ დავალებებს და ქულების გამოთვლის პრინციპებს.

პედაგოგების აზრით, **სკოლის ძლიერ მხარეს** წარმოადგენს:

-მეგობრული გარემო, რაც სამუშაო გარემოს სახალისოს და სასიამოვნოს ხდის;

-მცრირერიცხოვანი კლასები;

-უსაფრთხო გარემო;

-დისციპლინა;

-სკოლის დირექციასა და პედაგოგიურ კოლექტივს შორის ურთიერთპატივისცემის მაღალი ხარისხი;

-სწავლების მაღალი ხარისხი და მოტივირებული მოსწავლეები;

-კოლეგებს შორის ურთერთგამოცდილების გაზიარება;

- ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მათ კვალიფიკაციაზე ზრუნვა;

-დირექციის მხრიდან მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვა და პერიოდული მონიტორინგი.

მასწავლებლები აღნიშნავენ რომ, სკოლის **სუსტი მხარეა**:

- მესამე სართულზე ხარვეზები ინტერნეტით უზრუნველყოფაში;

- საკლასო ოთახების არასათანადოდ აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით;

- სასკოლო ღონისძიებებისთვის არასაკმარისი ფართის დარბაზის არსებობა.

მასწავლებლების აზრით,

-სკოლას შეუძლია ჩაერთოს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში;

-აუმაღლოს ინტერესი მასწავლებლებს სხვადასხვა პროფესიული ტრეინინგებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების მიმართ, რათა მასწავლებლები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ ახალი გამოწვევებისათვის;

- კარგი იქნება თუ სკოლაში დღის მეორე ნახევარში გაიხსნება საგნობრივი წრეები;

მასწავლებლები დადებითად აფასებენ დირექციის მუშაობას თვლიან რომ, სკოლა ახერხებს ყველა თანამშრომელმა თავი ერთი დიდი გუნდის წევრად იგრძნოს, ხელს უწყობს მაძიებელ პედაგოგებს პროფესიულ განვითარებში. ერთმა მასწავლებელმა, რომელიც აღნიშნულ პროგრამაშია ჩართული, აღნიშნა რომ მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის პრაქტიკა გაიარა სხვა სკოლაში, თუმცა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში ხელი შეუწყო და გაუწია პროფესიული დახმარება სკოლის დირექციამ და კოლეგა მასწავლებლებმა.

ამრიგად, სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობის მიზნით მასწავლებლების აზრით, კარგი იქნება თუ სკოლა აღიჭურვება დამატებითი ტექნიკური მოწყობილობებით. ასევე, ორმაგად სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე პოზიტიური სასკოლო გარემოსთვის, თუ სკოლაში განხორციელდება მეტი შემეცნებითი, საინტერესო გასვლითი ღონისძიებები.

კვლევის შედეგები სკოლის დირექცია დაეხმარა ძლიერე და სუსტი მახარეების განსაზღვრაში, გამოიკვეთა ის შესაძლებელობები, რაც სკოლას გამოყენებული არ აქვს და დაეხმარა მას რისკების შეფასებაში.

<u>ძლიერი მხარე</u>	<u>სუსტი მხარე</u>
1. ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება 2. საავტორო ინგლისურენოვანი რესურსები 3. დამატებითი მომსახურეობის მრავალფეროვანი პროგრამა 4. მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში 5. დაცული და პოზიტიური სასწავლო გარემო 6. კლუბური მუშაობა 7. კათედრების მუშაობის მოქნილი ონლაინ პლატფორმა 8. მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა 9. საქალაქო და საერთაშორისო ოლიმპიადებში აქტიური მონაწილეობა	1. ღია ტიპის სპორტული ინფრასტრუქტურის არქონა 2. მრავალფეროვანი აქტივობებისტვის არასაკმარისი სივრცე-სააქტო დარბაზი 3. ეზოს არასაკმარისი კეთილმოწყობა 4. ტრანსპორტირებით მოსწავლეთა ვერ უზრუნველყოფა
<u>შესაძლებლობა</u> 1.ღია ტიპის სპორტული ინფრასტრუქტურის მოძიება და სარგებლობის უფლების მოპოვება **2.**ეზოს კეთილმოწყობისთვის საჭირო ფინასებისა და მხარდამჭერი ორგანოების მოძიება 3.თანაშრომელთა წახალისების სისტემის დახვეწა 4.მრავალფეროვანი გასვლითი გაკვეთილების ორგანიზება	<u>რისკები</u> 1. <u>არასტაბილური გადახდისუნარიანი მშობლები</u> 2. ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები; 3. სკოლაში დასაქმებული კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია- ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკა“ უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებითა და მშობელთა ჩართულობით უზრუნველყოფს დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება, უპასუხოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები.

სკოლის ხედვაა, 2030 წლისთვის სკოლა ,,ბრიტანიკა“ იქნება გამორჩეული სიცრცე, სადაც არაფორმალური განათლების გაძლიერებით მოსწავლეები შეძლებენ ხარისხიანი განათლების მიღება და 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების შეძენას.

სკოლის ღირებულებები

სკოლა ითვალისწინებს სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების ინტერესებს და თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

ობიექტურობა: სკოლის საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება. მოსწავლის, მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

გამჭირვალობა: საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, სკოლის ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

მიუკერძოებლობა: სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;

თანამშრომლობა: სკოლა ღიაა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განიხილება სიახლეები, წინადადებები, განსხვავებული პოზიციები.

ზრუნვა მუდმივ განვითარებაზე: სისტემატურად ფასდება სკოლის საქმიანობა. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, იგეგმება შემდგომი განვითარების გზები.

სტრატეგიული მიზნები

- **სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციების განვითარება;**
- **სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;**
- **ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება;**
- **მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესება.**

ამოცანები.

1. **სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციების განვითარება.**

1.1 სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება;
1.2 სასკოლის საქმიანობის გამჭირვალეობის და ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების დახვეწა.

2. **სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება**

2.1 საგნობრივი კურიკულუმების უწყვეტი განახლება;
2.2 სწავლა -სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
2.3 ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების ხელშეწყობა;
2.4 სწავლა-სწავლების ხარისხის მექანიზმების განახლება.

3. **ადამიანური, ციფრული რესურსების მართვის სისტემების განვითარება**

3.1 სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა;
3.2 თანამშრომლეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;
3.3 თანამშრომელთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა.

4. **მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

4.1.მატერიალური, ციფრული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განახლება განახლებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
4.2 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა;
4.3 თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება.

5. **მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესება**

5.1.ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა;
5.2. მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ ბრიტანიკა“
2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიზანი N1. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრინციების განვითარება

ამოცანები	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030		
5.1 სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის გაუმჯობესება								შემუშავებული სკოლის მართვის პროცესებში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები	სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
5.2 სასკოლო საქმიანობის გამჭირვალეობისა და ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტების დახვეწა.								შემუშავებულია მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები	სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

სტრატეგიული მიზანი N2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030		

2.1 საგნობრივი კურიკულუმების უწყვეტი განახლება								განახლებული საგნობრივი კურიკულუმები	საგნობრივი კათედრები
2.2. სწავლა - სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა								1.მოსწავლეთა სწავლის შედეგების ანალიზი 2.კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული /განახლებული საგნობრივი კათედრების სასწავლო და სამოქმედო გეგმები 3.მასწავლებელთა საჭიროების კვლევის შედეგები	სკოლის დირექტორი, სირექტორის მოადგილე, ხარისხის სპეციალისტი, საგნობრივი კათედრები
2.3 ინკლუზიური/ დიფერენცირებული მიდგომების ხელშეწყობა								1.ინკლუზიურ/ დიფერენცირებული მიდგომის შესახებ ტრეინინგების ჩატარების მაჩვენებელი. 2.მოდიფიცირებული საგნობრივი კურიკულუმების რაოდენობა	სკოლის დირექტორი, დირექტორის მაოდგილე, საგნობრივი კათედრები, სკოლის ფსიქოლოგი
2.4.სწავლა-სწავლების ხარისხის მექანზმების განახლება.								1.განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 2.მოსწავლეთა ყოველწლიური აკადემიური მოსწრების მოსწრების მაჩვენებლები 3.მასწავლებელთა ყოველწლიური შეფასების ანალიზი(მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა) 3.უსდ-ში ჩარიცხული, მათ შორის გრანტის მოპოვების	სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, სკოლის დირექტორის მოადგილე

								მაჩვენებელი 4. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწავლების არისხის გამუმჯობესებისთვის გამოყენება	

სტრატეგიული მიზანი N3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარება

ამოცანა	წლები								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030			
3.1 სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა									1.კვალიფიციური კადრების, მოზიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსები 2.დასაქმებული კვალიფიციური კანდრების მაჩვენებელი	სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დირექტორის მოადგილე
3.2თანამშრომელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება									1.პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია 2.პერსონალის შეფასების შედეგები 3.შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციები 3.პერსონალის განვითა	სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

									რების გეგმები დაფუძნებული საჭიროებათა კვლევის შედეგებზე 4.პროფესიული განვითარების გეგმის შედეგად გადამზადებული თანამშრომლების სტატისტიკური მაჩვენებლები 4.კარიერული წინსვლის მაჩვენებლები	
3.3თანამშრომეთა სამოტივაციო პოლიტიკის დახვეწა									დანერგილი წახალისების მექანიზმები	სკოლის დირექტორი

სტრატეგიული მიზანი N4. მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029- 2030		
4.1.მატერიალური, ციფრილი რესურსების და ინფრასტრუქტურის განახლება, განახლებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.								1.საგნობრივი კათერების მიერ მოთხოვნილი დამატებითი რესურსები 2.კმაყოფილების კვლევის შედეგებ	სკოლის დირექტორი, საგნობრივი

								ის ანლიზის საფუძველზე შესყიდვების გეგმის მომზადება 3.შესყიდვების გეგმის განხორციელების შედეგები	კათედრები, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
4.2 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა და განვითარება								ავტორიზაციის სტანდარტების გათვალსიწინებით უზრუნველყოფილია ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემო	სკოლის დირექტორი, ბუღალტერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
4.3 თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა								შესყიდულია ელ. დოკუმენტბრუნვის სისტემა schoolbook-პლატფორმაზე. .ელ. ჟურნალი.	სკოლის დირექტორი ,ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი

სტრატეგიული მიზანი N5. მოსწავლეთა მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესება									
ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სუბიექტი
	2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030		

5.1 ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა									1.შეთანაზებული მრავალფეროვანი კლუბები და სასკოლო ორგანიზაციები 2.განხორციელებული ღონისძიებების რეფლექციები/მტკიცებულებები	
5.2.მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერა									1.შემუშავებულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა 2.პროგრამის ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე პროგრამის განახლება	სკოლის დირექტორი, კლასის დამრიგებლები